ელექტრონული ტენდერის განაცხადი

№		
1	ტენდერის აღწერილობა	საახალწლო საჩუქრების ნაკრების შესყიდვა კომპანიის თანამშრომლებისთვის.
2	კონკრეტული დავალება	● რაოდენობა: 600 ერთეული. ● ბიუჯეტი: 60-80 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ერთ ნაკრებზე. ● კონცეფცია: ნაკრები უნდა შედგებოდეს იდეურად ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ნივთისგან, საახალწლო შეფუთვისა და მისალოცი ბარათისგან. ნაკრების კონცეფცია უნდა აიგოს ემოციაზე, სითბოზე, მყუდროებაზე ან ინტერაქტივზე და სასურველია ტრიალებდეს მომენტების დაფიქსირების იდეის გარშემო (მაგ: ერთჯერადი ფირის ფოტოაპარატი, პოლაროიდის ტიპის იდეა ან სხვა მსგავსი აქტივობა, რომელსაც თანამშრომლები ერთად გააკეთებენ და შეინახავენ მოგონებებს). დიზაინი უნდა იყოს ესთეტიური და საახალწლო თემატიკის. ● შეზღუდვა (არ უნდა შედიოდეს): ალკოჰოლური სასმელი, ჭიქა, ჰუდი, სანთელი.
3	მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ	● პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კრეატიული კონცეფციის აღწერა, პროდუქციის ვიზუალური რენდერები და აღწერა, შეფუთვის და მისალოცი ბარათის დიზაინი, ტექნიკური პარამეტრები და დეტალური ფასების ცხრილი. ● აუცილებელი მოთხოვნა: ტენდერის ფარგლებში ფიზიკური ნიმუშის (Sample) წარმოდგენა. ნიმუში სავალდებულოა მხოლოდ გარე შეფუთვაზე (ყუთი/პარკი) და მისალოც ბარათზე. ● დამკვეთი მზადაა დეტალურად გაეცნოს შემსრულებლის ორიგინალურ იდეებს, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს წინასწარ ფორმულირებული დავალებისგან.
4	გადახდის პირობები	შეთანხმების მიხედვით (ეტაპობრივი ან მიღება-ჩაბარების საფუძველზე).
5	ტენდერის ვადები	10 კალენდარული დღე.
6	მოწოდების ვადა	საბოლოო და სრული მოწოდების მაქსიმალური ვადაა 25 დეკემბერი. ჩაბარების გრაფიკი დაზუსტდება მოლაპარაკების საფუძველზე.
7	ხელშეკრულების ვადები	ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი გაფორმებიდან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე.

8	საგარანტიო პირობები	მოლაპარაკების საგანი (წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხის გარანტია).
9	საკონტაქტო პირი	თინათინ მითაიშვილი 577 222 761
10	სხვა	შეფუთვასა და მისალოც ბარათზე გათვალისწინებული უნდა იყოს კომპანიის ბრენდინგი (ლოგო/სტილი), რომლის ფაილებსაც კომპანია მიაწვდის გამარჯვებულ პრეტენდენტს.